



თანაბარი მიდგომები
თანაბარი შესაძლებლობებისათვის
დევნილთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობების
ბიუჯეტის ფორმირების პროცესში

EQUAL APPROACHES FOR EQUAL OPPORTUNITIES
PARTICIPATION OF IDPs IN BUDGETARY PLANNING OF
LOCAL SELF-GOVERNMENTS

20 Galaktion Tabidze Street, 0105 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 2 93 50 88
E-mail: info@isnc.ge
www.isnc.ge



თანაბარი მიდგომები თანაბარი შესაძლებლობებისათვის

ღვნილთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობების
ბიუჯეტის ფორმირების პროცესში

EQUAL APPROACHES FOR EQUAL OPPORTUNITIES

PARTICIPATION OF IDPs IN BUDGETARY PLANNING OF
LOCAL SELF-GOVERNMENTS



Foreign &
Commonwealth
Office



დოკუმენტი მომზადებულია დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის - „სინერგია - დევნილთა გაძლიერება ჩართულობისა და თანამშრომლობის გზით“ - ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტისა და ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელ „სინერგიის“ მიერ.

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი და ქსელი „სინერგია“ და იგი არ გამოხატავს დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს პოზიციას.

This document has been produced with the financial assistance of the Embassy of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland in the framework of the project "Synergy - Empowering IDPs through Participation and Cooperation". The project is implemented by the Institute for the Study of Nationalism and Conflicts (ISNC) in partnership with the Synergy network - a group of nongovernmental organizations working on issues concerning internally displaced persons.

The contents of this document are the sole responsibility of the Institute for the Study of Nationalism and Conflicts (ISNC) and the Synergy network and can under no circumstances be regarded as reflecting the position of the Embassy of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland.



შინაარსი

შესავალი	5
ზუგდიდის მინიციპალიტეტი	5
ქალაქი ზუგდიდი.....	6
ქალაქი ფოთი.....	6
ქალაქი გორი.....	10
ქალაქი ქუთაისი	20
ქსელი „სინერგია“ მონიტორინგის პროცესში	20
ძირითადი მიგნებები.....	20



შესავალი

ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი (ISNC) დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელ „სინერგიასთან“ ერთად ახორციელებდა ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტის დაგეგმარებისა და განხორციელების პროცესის მონიტორინგსა და დევნილი მოსახლეობის ინფორმირებას ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესახებ.

ქსელ „სინერგიის“ აქტივობის ძირითადი მიზანი იყო ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებით გათვალისწინებულ ყველა პრიორიტეტსა თუ პროგრამაზე დევნილებისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა, დევნილ და ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ თანაბარი მიდგომების დამკვიდრება. ასევე, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების სწორი დაგეგმარება და საერთო ბიუჯეტში ამ პროგრამებისათვის გამოყოფილი წილის გაზრდა, დევნილი მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შემუშავების, დამტკიცების და განხორციელების პროცესში კანონით განსაზღვრული მექანიზმებითა და უფლებების გამოყენებით.

ზემოთაღნიშნული მიზნის მისაღწევად პირველ ეტაპზე დაიგეგმა საინფორმაციო შეხვედრები. ქსელის წევრებს და დევნილ აქტივისტებს ჩაუტარდათ ტრენინგები, სადაც ქსელის კონსულტანტმა საფინანსო და საბიუჯეტო საკითხებში დავით ჭურაძემ (საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატის უფროსი) ქსელის წევრებს გააცნო ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების პროცედურები. ყურადღება გამახვილდა ბიუჯეტის მონიტორინგის მეთოდებზე, რომელიც ქსელის წარმომადგენლებს მისცემდა საბიუჯეტო პროცესზე დაკვირვების საშუალებას. შეხვედრაზე გამოიკვეთა რამდენიმე საადვოკატო თემა, რომელიც უნდა გადაწყვეტილიყო ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. საკითხები შეეხებოდა საბიუჯეტო პროცესს, იგპ-თა სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას და სამართლებრივ გაძლიერებას, მათ თანამშრომლობას ადგილობრივ თვითმმართველობასთან, დევნი-

ლთა ჩართვას სამოქალაქო პროგრამებში და, შესაბამისად, მათ სამოქალაქო გააქტიურებას.

პროექტის ფარგლებში შერჩეული იქნა პრიორიტეტული მუნიციპალიტეტები (ქ. ზუგდიდი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ქ. ფოთი, ქ. ქუთაისი და ქ. გორი), რომელთა 2015 წლის ბიუჯეტის პროექტებიც, შესწავლილ იქნა ქსელის წარმომადგენლების მიერ. ძირითადი ყურადღება გამახვილებულ იქნა 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, რომლებიც იგეგმებოდა მუნიციპალიტეტების მიერ მათ ტერიტორიაზე მყოფი დევნილებისათვის. დაიგეგმა, რომ მომხდარიყო შემოსულობებისა და გადასახდელების გაანალიზება და მათ საფუძველზე დევნილთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შემუშავება; გარდა ამისა, დევნილი მოსახლეობისა და ადგილობრივი თემისთვის თანაბარი უფლებების გავრცელების დაფიქსირება ბიუჯეტის ყველა პრიორიტეტსა თუ პროგრამაზე.

მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა, რომ თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი კანონით დადგენილ ვადებში იქნა წარდგენილი საკრებულოებში, თუმცა მათი საჯაროდ გამოქვეყნება რამდენიმე დღიანი დაგვიანებებით განხორციელდა და პროექტები თავად ადგილობრივი ქსელის წევრების მიერ იქნა მოპოვებული. გარდა ამისა, საჯაროდ არ გამოქვეყნებულა რეგლამენტი – თუ როდის იგეგმებოდა ბიუჯეტის პროექტის განხილვა საკრებულოს შესაბამის კომისიებში.

ბიუჯეტების მონიტორინგისა და ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ჩვენს მიერ შერჩეული მუნიციპალიტეტების ძირითად პრიორიტეტებს 2015 წლისათვის წარმოადგენს:

- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის სფერო და მისი გაუმჯობესება;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარება.



ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

ძირითადი პრიორიტეტების ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში განსაზღვრულ იქნა შემდეგი პარამეტრები და პროგრამები:

2015 წლისათვის ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილი განისაზღვრა 13340,4 ათასი ლარის ოდენობით. ცალკეულ სახეობათა მიხედვით შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებია:

- გადასახადებიდან მისაღები შემოსავლები პროექტით შემოთავაზებული იყო 380,0 ათას ლარის ოდენობით. მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი 100,0 ათასი ლარის, ქონების გადასახადი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 200,0 ათასი ლარის და არა სასოფლო მიწაზე 50,0 ათასი ლარის ოდენობით.
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 2015 წლის პროექტის მიხედვით ზუგდი-


დის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ტრანსფერი განისაზღვრა 11940,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 11730,4 ათასი ლარის და მიზნობრივი ტრანსფერი 210,0 ათასი ლარის ოდენობით დელეგირებული უფლებამოსილებათა განსახორციელებლად.

- სხვა შემოსავლები 950 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის შემოსავლები ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის 100,0 ათასი ლარის, სანებართვო მოსაკრებელი 50,0 ათასი ლარის, დასუფთავების მოსაკრებელი 30,0 ათასი ლარის, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 30,0 ათასი ლარის ოდენობით. ჯარიმები, სანქციები და საურავები 700,0 ათასი ლარის ოდენობით. არაფინანსური აქტივების კლება პროექტით წარმოდგენილია 70,0 ათასი ლარის ოდენობით. მთლი-


ანობაში ბიუჯეტის შემოსულობების და არაფინანსური აქტივების კლების საერთო საპროგნოზო მაჩვენებელი წარმოდგენილია 13340,0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული საპროექტო მაჩვენებელი 3560,2 ათასი ლარით აღემატება 2014 წელს

გაყოფის შედეგად ახლადშექმნილი მუნიციპალიტეტის შესაბამის მაჩვენებელს 9740,2 ათას ლარს, რაც ძირითადად აიხსნება გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობის ზრდით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები და მისი შემადგენელი კომპონენტები (ათასი ლარი)



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გადასახდელები და მისი შემადგენელი ნაწილები



2015 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოთავაზებული ძირითადი პარამეტრების გაანალიზების შედეგად, საკრებულოს სხდომისათვის მომზადდა შემდეგი სახის შენიშვნები და წინადადებები:

1. რატომ კლებულობს საგადასახადო შემოსავლები 110 ათასი ლარით, მათ შორის: სასოფლო სამეურნეო მიწის გადასახადი ფიზიკურ პირებზე 50 ათასი ლარით, ხოლო იურიდიულ პირებზე 130 ათასი ლარით, და ხომ არ იგეგმება 2015 წელს ქონების გადასახადის განაკვეთის გადახედვა შემცირების კუთხით, რადგან მცირდება საგადასახადო შემოსავლები;

2. 2015 წელს იგეგმება 70 ათასი ლარის ქონების რეალიზაციით შემოსავლის მიღება, მაგრამ ბიუჯეტის პროექტს დანართის სახით არ ახლავს იმ საპრივატიზაციო ობიექტების ჩამონათვალი რომლის რეალიზაციასაც მუნიციპალიტეტი გეგმავს. მოსახლეობის მათ შორის დევნილების ინფორმირებულობის, საჯაროობის, შესყიდვაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია ქონების რეალიზაციის შესახებ ინფორმაცია ადგილობრივ რეიტინგულ პრესაში ან მასმედიაში იქნეს განთავსებული;

3. ბიუჯეტის პროექტში გადმოსაცემი ტრანსფერის მოცულობა 254.9 ათასი ლარით მეტი არის გათვალისწინებული, ვიდრე 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით არის განსაზღვრული: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტი 11,685.5 ათასი ლარი, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი - 11,455.5 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი - 230.0 ათასი ლარი“;

4. სხვა შემოსავლების მუხლში მიმდინარე წელთან შედარებით 110 ათასი ლარით შემცირებულია ბუნებრივი რესურსებიდან მისაღები შემოსავლები, რაც არგუმენტირებულ დასაბუთებას საჭიროებს თუ რა გარემოებების გამო მცირდება შემოსავალი;

5. გაუგებარია ბიუჯეტის 2015 წლის პროექტით არსებული ნაშთის 222 ათასი ლარის ბედი. ცალსახად არ ჩანს, მის გამოყენებას თუ გაზრდას გეგმავს მუნიციპალიტეტი და, დამატებითი

შემოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად როგორ აპირებს მის გამოყენებას;

6. პროექტით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი შრომის ანაზღაურების მუხლი, მაშინ, როდესაც 2015 წელს მომუშავეთა რიცხოვნობა (241 ერთეული) არ იზრდება, მიზანშეწონილია მოხდეს ამ კუთხით ხარჯების ოპტიმიზაცია და გამონთავისუფლებული თანხები მიმართულ იქნეს სხვა პროგრამების დაფინანსების გასაზრდელად;

7. ოფისის ხარჯები 300 ათასი ლარითაა გაზრდილი, განსაკუთრებით საკანცელარიო ნივთების შეძენის კუთხით, რაც პროექტის ავტორების მხრიდან დასაბუთებას საჭიროებს, თუ რამ განაპირობა ასეთი ხარჯების ზრდა;

8. ბიუჯეტის პროექტით მნიშვნელოვანი ზრდა 400% ფიქსირდება საწვავის ხარჯებში (900 ათასი ლარი), რაც ძალიან დიდი მოცულობისაა, თუ გავითვალისწინებთ მიმდინარე წლის მაჩვენებელს - 200 ათასი ლარს. გარდა ამისა, დაგეგმილია კომპიუტერული ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალების შეძენაც, მაგრამ არაფერია აღნიშნული მათ საჭიროებაზე. მიზანშეწონილია აღნიშნული პარამეტრები გადახედილ იქნეს შემცირების კუთხით და გამოთავისუფლებული სახსრები მიმართულ იქნეს მოსახლეობის მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსებაზე, ან ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე (არა ფინანსური აქტივების ზრდის მუხლში);

9. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს სახსრების გამოყოფას ისეთ მიმართულებაზე, როგორიცაა მაგალითად, დევნილი მოსახლეობის იდენტიფიკაციის, მონაცემთა ბაზის დამუშავების ღონისძიებები, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება;

10. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კუთხით ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები მოსახლეობაში არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით მცირეა. კერძოდ, მიმდინარე წელთან შედარებით შემცირებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სხვა

ღონისძიებები 20-20 ათასი ლარით. ასევე, მოსახლეობაზე სოციალური უზრუნველყოფისათვის (06 03) გამოყოფილი თანხები მიმდინარე წელთან შედარებით შემცირებულია 300 ათასი ლარით. მართალია ზოგიერთი ქვეპროგრამაში ფიქსირდება ზრდა და ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს ახალ პროგრამასაც, მაგრამ მიმდინარე წელთან შედარებით სოციალური მიმართულებით თანხების შემცირება მიზანშეუწონელია.

ქალაქი ზუგდიდი


ქალაქ ზუგდიდის 2015 წლის ბიუჯეტით შემოთავაზებული ძირითადი პარამეტრებით შემოთავაზებულია საშემოსავლო ნაწილი 15821.9 ათასი ლარის ოდენობით.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ტრანსფერი განისაზღვრა 11799,9 ათასი ლარით, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი 11729,9 ათასი ლარით და მიზნობრივი ტრანსფერი 70,0 ათასი ლარის ოდენობით.

რაც შეეხება გადასახდელებს: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის სფერო.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური საკითხები ძირითადად ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ადგილობრივ თვითმმართველობას შემუშავებული აქვს მთელი რიგი პროგრამები მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის პირობების გასაუმჯობესებლად.

ქალაქ ზუგდიდის ბიუჯეტის შემოსულობები და მისი შემადგენელი კომპონენტები (ათასი ლარი)



ცალკეულ სახეობათა მიხედვით შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები იძლევა შემდეგ სურათს:

გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1550.0 ათას ლარს, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი წარმოადგენილია 1000,0 ათასი ლარის ოდენობით, ქონების გადასახადი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 500,0 ათასი ოდენობით.

მთლიანობაში ქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ძირითადად უნდა ჩაითვალოს სოციალურად ორიენტირებულ ბიუჯეტად, რამდენადაც ბიუჯეტის საკუთარი სახსრები მიმართულია როგორც მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელ მოქალაქეთა პირადი სოციალური და ჯანდაცვის საკითხების მოგვარებისაკენ, ისე ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის (გზები, ხიდები, განათება, წყალმომარაგება და სხვა), სკოლამდელ დაწესებულებათა შენახვის პროგრამისათვის,

კულტურისა და სპორტის პროგრამების განსახორციელებლად, ანუ აღნიშნული სოციალური პროექტები მთლიანად მიმართულია მოსახლეობის საერთო საჭიროებათა განსახორციელებლად - მოსახლეობის ყოფითი, კულტურული, შემეცნებითი და სხვა მოთხოვნათა უზრუნველყოფისათვის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალური კუთხით გათვალისწინებულია ის პროგრამები და პროექტები, რომლებიც ძირითადად გათვლილია ინდივიდუალურად, კონკრეტულ ბენეფიციარებზე, მატერიალური და ფულადი დახმარების მიმღებ პირებზე.

2015 წლისათვის ბიუჯეტის პროექტი ზემოხსენებული პროგრამების განსახორციელებლად ითვალისწინებს 980,0 ათასი ლარის გამოყოფას, რაც 422,0 ათასი ლარით აღემატება გასული წლის ახლად შექმნილი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის მაჩვენებელს.

წარმოდგენილი პარამეტრების გაანალიზების შედეგად, მომზადდა შემდეგი სახის შენიშვნები და წინადადებები:

1. გაუგებარია, 2014 წელთან შედარებით

რატომ არის შემცირებული საკუთარი შემოსავლები - საგადასახადო შემოსავლები 160 ათასი ლარით;


2. 2015 წელს მნიშვნელოვნად გაზრდილია სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტის შემოსავალი, მაგრამ არგუმენტირებულად არ არის დასაბუთებული თუ რატომ იზრდება მაგალითად სათამაშო ბიზნესიდან მისაღები მოსაკრებლის ოდენობა გასულ წელთან შედარებით; ასევე, რამ განაპირობა დასუფთავების მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლების ზრდა;

3. 2014 და 2015 წლის ბალანსის ფორმები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში არ კონკრეტდება საკუთარი შემოსავლების წილი.

4. გვხვდება შემთხვევები, როდესაც დასაქმებულთა რაოდენობა 2014 წლის ოდენობით არის განსაზღვრული, მაგრამ შრომის ანაზღაურება გაზრდილი, თუმცა, არ არის განმარტებული, რამ განაპირობა აღნიშნული ზრდა;

5. როგორც ცნობილია, იძულებით გადაადგილებული პირები ზუგდიდში ძირითადად მრავალ-

ქალაქ ზუგდიდის გადასახდელები და მისი შემადგენელი ნაწილები



ვალსართულიანი ბინებში არიან მჭიდროდ განსახლებულნი და გაუგებარია, ასეთი ეზოების მოწყობისათვის რატომ არის ხარჯები განულები 2014 წელთან შედარებით;

6. გაუგებარია, როდესაც ბიუჯეტის პრიორიტეტი არის სოციალური სფერო და ამის ფონზე შემცირებულია ორი პროგრამა - პირველი: 2015 წლის ბიუჯეტის პროექტით განახევრებულია დევნილების მხარდაჭერის პროგრამა 2014 წელთან შედარებით, ხოლო 2016 წლიდან კვლავ იზრდება. განმარტებებს საჭიროებს, რამ განაპირობა მხოლოდ ერთი წლით შემცირება და მეორე - ხანდაზმულთა სოციალური დაცვა. სხვა ყველა პროგრამა ამ მიმართულებით გაზრდილია.

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილი იქნა შემდეგი პარამეტრებით და პროგრამებით:

ქალაქ ფოთის ბიუჯეტის შემოსულობები 15 მლნ. ლარის ოდენობით, მათ შორის შემოსავლები 13,7 მლნ. ლარი (გადასახადები 6 მლნ. ლარი, გრანტები 4,4 მლნ. ლარი და სხვა შემოსავლების 3,3 მლნ. ლარი), არა ფინანსური აქტივების კლება 1,2 მლნ.

ლარი. გადასახდელები წლიური გეგმა განისაზღვრა 15 მლნ. ლარის ოდენობით, მათ შორის: ხარჯები 13,8 მლნ. ლარი, არა ფინანსური აქტივების ზრდა 0,9 მლნ. ლარი, ხოლო ვალდებულებების კლება 0,2 მლნ. ლარი. 2015 წელს ნაშთის ცვლილება მუნიციპალიტეტს არ დაუგეგმავს.

პროექტის ფარგლებში ფოთის ბიუჯეტთან დაკავშირებით მომზადებული იქნა შემდეგი სახის შენიშვნები დარეკომენდაციები:


1. ქვეყანაში იგეგმება 5%-იანი ეკონომიკური ზრდა, მაგრამ ქალაქ ფოთის წარმოდგენილ ბიუჯეტში 2014 წელთან შედარებით საკუთარი შემოსულობები შემცირებით ხასიათდება, რაც არგუმენტირებულ დასაბუთებას საჭიროებს;

2. გაუგებარია, 2013 წლის ფაქტთან შედარებით 2014 და 2015 წლებში საგადასახადო შემოსავლები კლების ტენდენციით რატომ ხასიათდება, აღნიშნული საჭიროებს განმარტებებს. თავისი შინაარსით ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2013 წელთან შედარებით დასაბეგრი ბაზა - ქონება ან მიწის ოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა;


3. 2015 წლის პროექტით 884 ათასი ლარით მცირდება სხვა შემოსავლებიდან მისაღები შემოსავალი და მკვეთრი შემცირება ფიქსირდება ბუნებრივი რესურსებიდან მიღებულ შემოსა-

ქალაქ ფოთის ბიუჯეტის შემოსულობები და მისი შემადგენელი კომპონენტები (ათასი ლარი)

■ 2014წ. ■ 2015წ.



ქალაქ ფოთის გადასახდელები და მისი შემადგენელი ნაწილები



ვლებშიც. ეს ფაქტიც არგუმენტირებულ დასაბუთებას საჭიროებს მისი გადახდის პრინციპის გათვალისწინებით.

4. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს ხარჯების შემცირებას, მაგრამ, სამწუხაროდ მნიშვნელოვნად არის შემცირებული სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 191 ათასი ლარის ოდენობით, იმ დროს, როდესაც პრიორიტეტს სწორედ სოციალური კუთხით მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს. მიზანშეწონილია აღნიშნული დაფინანსება გაიზარდოს სულ ცოტა გასული წლის მაჩვენებელამდე მაინც;

5. 2015 წელს იგეგმება მიწის გაყიდვით შემოსავლების მიღება და სასურველია დაკონკრეტდეს, რომელ ობიექტებზე არის საუბარი, რათა მოსახლეობაც ინფორმირებული იყოს და სურვილის შემთხვევაში შეძენაში მიიღოს მონაწილეობა;

6. ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მიმდინარე წელთან შედარებით 2015 წლის ბიუჯეტით მცირდება ჯანმრთელობის დაცვაზე და სოციალურ დაცვაზე გამოყოფილი თანხები (114,4 ათასი ლარით და 84,2 ათასი ლარით), რაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რადგან სწორედ

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, მათ შორის დევნილებიც, ყველაზე მეტად ამ მიმართულებით საჭიროებენ თანადგომას;

7. ბიუჯეტის პროექტის მე-13-ე მუხლში მიზანშეწონილია ნათლად ჩაიწეროს, თუ რას უნდა მოხმარდეს სარეზერვო ფონდის თანხები, კერძოდ, სტიქიურ უბედურებებზე და სხვა მსგავს შემთხვევებზე გამოყოფილი თანხები, რადგან არსებული რედაქციით შესაძლებელი ხდება ნებისმიერ ღონისძიების დაფინანსება;

8. სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე საკუთარი სახსრებიდან გამოყოფილი თანხები 2014 წელთან შედარებით შემცირებულია 321 ათასი ლარით, რაც გაზრდი კუთხით გადახედვას საჭიროებს.

9. ბიუჯეტის პროექტში ზოგიერთ პროგრამაში კონკრეტდება სოციალური ფენა ტერმინით „დევნილი“, ხოლო ზოგიერთში არა. მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას ერთიანი მიდგომა;

10. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 00) 2015 წელს 198,6 ათასი ლარით არის შემცირებული, მათ შორის მოსახლეობის სტატისტიკის მკვლევარების პროგრამული კოდი 06 02 01) 103,4 ათასი ლარით. გარდა ამისა, დაზუსტებას საჭიროებს დაზღვევის გარეშე დარჩენილ მოსახლეობაში

რომელ კატეგორიას მოიაზრებენ, რადგან საყოველთაო დაზღვევა როგორც ცნობილია ყველა მოქალაქეზე ვრცელდება, ხოლო ვინც კორპორატიული დაზღვევით სარგებლობს, ასეთი კატეგორია საბიუჯეტო დახმარებას არ საჭიროებს;

11. მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის (პროგრამული კოდი 06 02 02) პროგრამისათვის გამოყოფილი თანხები შემცირებული და გაზრდის კუთხით გადახედვას საჭიროებს;

12. მარტოხელა დედათა დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 02): ეს პროგრამა მარტოხელა მშობელზე უნდა ვრცელდებოდეს, რომელიც მარტოხელა მამასაც ითვალისწინებს და თანაბარ პირობებში ჩააყენებდა ასეთ მშობლებს. მითუმეტეს, ამ ტერმინს უკვე ითვალისწინებს კანონმდებლობა.

13. მიზანშეწონილია ცალკე მუხლად დაემატოს შემდეგი პრინციპი: წლის განმავლობაში წარმოშობილი ეკონომიების თანხები მიმართულ იქნეს სოციალურ კუთხით, მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამაში მათ შორის დევნილებზე.

ქალაქი გორი

ქალაქ გორის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 14 090,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის შემოსავლები 13 960,0 ათასი ლარი, ხოლო პრივატიზებიდან მისაღები თანხები (არაფინანსური აქტივების კლება) 130,0 ათასი ლარი, გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასაცემი ფინანსური რესურსის გათვალისწინებით 10 856,7 ათასი ლარი.

რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს: 2015 წელს გადასახდელები დაგეგმილია 14 090,0 ლარის ოდენობით და წარმოდგენილ ვარიანტში არ არის ასახული მუნიციპალური ფონდიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსი, რაც ცვლილების შეტანისას გაზრდის გადასახდელების წარმოდგენილ მაჩვენებელს. ხარჯები დაგეგმილია 13 459,6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის შრომის ანაზრაურობა - 1 850,4 ათასი ლარი,

სოციალური უზრუნველყოფა - 492,0 ათასი ლარი.

ქალაქ გორის 2015 წლის ბიუჯეტით შემოთავაზებული ძირითადი პარამეტრების გაანალიზების შედეგად, მომზადდა შემდეგი სახის შენიშვნები და წინადადებები:

1. სხვა თვითმმართველობების მსგავსად ფიქსირდება საკუთარი შემოსავლების კლება გასულ წელთან შედარებით - საგადასახადო შემოსავლები 196,8 ათასი ლარით, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი მცირდება 185 ათასი ლარით, ფიზიკური პირების ქონების გადასახადი - 3,3 ათასი ლარით; არასასოფლო სამეურნეო მიწის საგადასახადო გეგმა მცირდება 49 ათასი ლარით და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადიდან მისაღები შემოსავალია გაზრდილი 41 ათასი ლარით. აღნიშნული ფაქტი არ არის სახარბილო;

2. 015 წელს იგეგმება 26 ათასი ლარით ნაკლები სხვა შემოსავლების ბიუჯეტში შემოსვლა, მაგრამ არგუმენტირებულად არ არის დასაბუთებული თითოეული კლების გამომწვევი მიზეზი;

3. 2014 წელს გამოყენებულ იქნა დიდი მოცულობის თავისუფალი ნაშთი და აღნიშნულის გათვალისწინებით 2015 წელს მისი არც დაგროვება და არც გამოყენება იგეგმება, რაც სამწუხაროა;

4. ბიუჯეტის პროექტით ჯანმრთელობის დაცვაზე 2015 წელს გამოყოფილი სახსრები 2014 წლის ოდენობის არის დაგეგმილი და მცირედიოთაც არ არის გაზრდილი, რაც საკუთარი შემოსავლების კლებით არის გამოწვეული;

5. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს ისეთ ხარჯებს, რასაც, როგორც ცნობილია სახელმწიფო სრულად აფინანსებს. მაგალითად:

- დედ-მამით ობოლ 0-დან 18 წლის ჩათვლით პაციენტის დახმარება ერთჯერადად სტაციონარული მკურნალობისათვის გადასახდელი თანხის 50%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 700 ლარისა;
- სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს,

რომელთაც ესაჭიროებათ სამედიცინო კვლევა, რომელიც არ არის გათვალისწინებული სხვა პროგრამით და გააჩნიათ 0-დან 70000 ზათვლით სარეიტინგო ქულა, დაფინანსება განისაზღვროს 150 ლარის ოდენობით.

- სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნია 70000-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულა, სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება განისაზღვროს არსებული სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო ტარიფის მიხედვით წარმო-


დგენილი თანხის 50%-ით, მაგრამ არა უმეტეს 500 ლარისა.

აღნიშნული პროგრამები განმარტებებს საჭიროებს რა შემთხვევები მოიაზრება და გასულ წელს რა მდგომარეობა იყო ამ მიმართულებით.

- 2015 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებაში გაზრდილია შრომის ანაზღაურების მუხლი, როდესაც 2015 წელს მომუშავეთა რიცხოვნობა (118 ერთეული) არ იზრდება, რაც განმარტებებს საჭიროებს.


ქალაქ გორის ბიუჯეტის შემოსულობები და მისი შემადგენელი კომპონენტები (ათასი ლარი)

■ 2014წ. ■ 2015წ.



ქალაქ გორის გადასახდელები და მისი შემადგენელი ნაწილები

■ 2014წ. ■ 2015წ.




ქალაქი ქუთაისი

ქალაქ ქუთაისის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილ იქნა შემდეგი პარამეტრებით და პროგრამებით:

მლნ. ლარი, ხოლო ვალდებულებების კლება 0,7 მლნ. ლარი. 2015 წელს ნაშთის ცვლილება მუნიციპალიტეტსარ დაუგეგმავს.

პროექტის ფარგლებში ქუთაისის ბიუჯეტთან დაკავშირებით მომზადებული იქნა შემდეგი

ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები და მისი შემადგენელი კომპონენტები (ათასი ლარი)



ქუთაისის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 43 მლნ. ლარის ოდენობით, მათ შორის შემოსავლები 41 მლნ. ლარი (გადასახადები 4,5 მლნ. ლარი, გრანტები 30,4 მლნ. ლარი და სხვა შემოსავლების 6 მლნ. ლარი), არა ფინანსური აქტივების კლება - 1,3 მლნ. ლარი.


გადასახდელების წლიური გეგმა განისაზღვრა 43 მლნ. ლარის ოდენობით, მათ შორის: ხარჯები 40,9 მლნ. ლარი, არა ფინანსური აქტივების ზრდა 1,3

სახის შენიშვნები და რეკომენდაციები:

1. სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად სამწუხაროდ ქუთაისის ბიუჯეტის 2015 წლის შემოსულობები 2014 წელთან შედარებით შემცირებულია 3 მლნ. ლარის ოდენობით, რაც მნიშვნელოვანი კლებას წარმოადგენს და პირდაპირ გავლენას ახდენს ხარჯვით ნაწილზე;

2. მიუხედავად ქვეყანაში ეკონომიკური ზრდისა,

ქალაქ ქუთაისის გადასახდელები და მისი შემადგენელი ნაწილები



საგადასახადო შემოსავლების გეგმა 2014 წლის დონეზე არის დაგეგმილი (შეიძლება ითქვას, სტანდარტიზირებული). მაგრამ თუ მოვახდენთ ზოგიერთი მათგანის 2013 წლის ფაქტთან შედარებას, გაუგებარია, რატომ არის შემცირებული ფიზიკურ პირთა ქონების და არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლები;

3. 2014 წლის მაჩვენებელთან შედარებით 2015 წლის პროექტით 1 600 მლნ. ლარით მცირდება სხვა შემოსავლებიდან მისაღები შემოსავალი, ხოლო 2013 წლის ფაქტს თუ გავითვალისწინებთ, მისი მოცულობა 2,5 მლნ ლარით არის შემცირებული, რაც გადახედვას საჭიროებს ზრდის მიმართულებით. ასევე არგუმენტირებულ დასაბუთებას საჭიროებს ასეთი მაშტაბური შემცირების მიზეზები;

4. ბიუჯეტის პროექტში გადმოსაცემი ტრანსფერის მოცულობა 1 629 ათასი ლარით ნაკლებია ასახული, ვიდრე 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით არის განსაზღვრული: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი 32,118.0 ათასი ლარი, მათ შორის გათანაბრებით ტრანსფერი - 31,898 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი - 220.0 ათასი ლარი“. ვფიქრობთ, ეს ფაქტი კორექტირებას საჭიროებს;

5. ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 2015 წლის ბიუჯეტის პარამეტრი 21 მლნ. ლარით არის შემცირებული მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მათ შორის მცირდება ჯანმრთელობის დაცვაზე და სოციალურ დაცვაზე გამოყოფილი თანხები (105 ათასი ლარით და 39,4 ათასი ლარით), რაც კიდევ ერთხელ გადახედვას საჭიროებს ზრდის კუთხით, რადგან პრიორიტეტების დოკუმენტით სწორედ ეს მიმართულებებია პრიორიტეტად განსაზღვრული;

6. ბიუჯეტის პროექტის მე-12-ე მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია სარეზერვო ფონდის მოცულობა, სასურველია დაკონკრეტდეს სტიქიური უბედურებების მიმართულებით, რადგან

არსებული რედაქციით შესაძლებელი ხდება ნებისმიერ ღონისძიების დაფინანსება, მათ შორის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულების;

7. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოყოფილი საკუთარი სახსრები 2014 წელთან შედარებით შემცირებულია 1,4 მლნ. ლარის ოდენობით, რაც განმარტებებსა და დასაბუთებას საჭიროებს, რადგან ამ მიმართულებით გაწეული ხარჯები გავლენას ახდენენ მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირთა ოდენობაზე;

8. 2015 წლის ბიუჯეტის პროექტით 120 ათასი ლარით ნაკლებია დაგეგმილი მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამისათვის (კოდი 06 01 03), 40 - 40 ათასი ლარით ნაკლები სამედიცინო დახმარებისა და სოციალური დაცვისათვის, რაც დიაგრამაზეც ნათლად არის ასახული. ეს მაჩვენებლები რაც ზრდის მიმართულებით კორექტირებას საჭიროებს და სულ ცოტა 2014 წლის ოდენობით უნდა იქნეს შენარჩუნებული.

ქსელი „სინერგია“ მონიტორინგის პროცესში

საკრებულოს სხდომებზე 2015 წლის ბიუჯეტის განხილვისას ქსელის ადგილობრივმა წარმომადგენლებმა საკრებულოს წევრებს გააცნეს პროექტის ფარგლებში შემუშავებული წინადადებები და შენიშვნები 2015 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით, რომელთაგანაც ზოგიერთი გაზიარებული იქნა.

ამასთანავე, ყველა მუნიციპალიტეტში დაყენებულ იქნა საკითხი დევნილთა მიმართ თანაბარი მიდგომების დამკვიდრებაზე, რაც გაზიარებულ იქნა ყველგან, გარდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა, სადაც დევნილებისათვის არაა ხელმისაწვდომი სოციალური პროგრამები. თუმცა, აღნიშნული მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა და ქსელის ძალისხმევით შედეგად უახლოეს მომავალში სავარაუდოდ ეს დისკრიმინაციული მიდგომა აღმოიფხვრება.

ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროექტის შესახებ



დევენილი მოსახლეობის ინფორმირებისა და დევენილთა მიმართ თანაბარი მიდგომების დამკვიდრების მიზნით, ქსელის მიერ დაიგეგმა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, მათ შორის საინფორმაციო შეხვედრები და მრგვალი მაგიდეები ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლებისა და საექსპორტო საზოგადოების მონაწილეობით. დაიბეჭდა საინფორმაციო ფლერები და ბიუჯეტის პროექტები დევენილთათვის.

საზოგადოების ინფორმირებისათვის აქტიურად იქნა გამოყენებული მედია მხარდაჭერა. ადგილობრივი ტელევიზიების ეთერში აღნიშნულ თემა არაერთხელ იქნა გაშუქებული. ორგანიზაცია საუნივერსიტეტო მიერ გადაღებულ იქნა ფილმი „თანაბარი მიდგომები თანაბარი შესაძლებლობებისათვის“.

ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტმა წერილობით მიმართა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, საქართველოს ყველა თვითმმართველ ერთეულში, დევენილი და ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ თანაბარი მიდგომების დამკვიდრების ხელშეწყობის თხოვნით, რათა აღმოფხვრილ იქნეს დისკრიმინაციული მიდგომები დევენილის სტატუსის მქონე პირების მიმართ. (იხ. დანართი)

ძირითადი მიგნებები:

- არათანაბარი მიდგომა ფიქსირდება ზოგიერთი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი დევენილების მიმართ. კერძოდ, ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა პროგრამებისა თუ ქვეპროგრამების ავტომატურ რეჟიმში დევენილებზე გავრცელების კუთხით.
- მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებულ ბიუჯეტის პროექტებს არ ახლავს თანდართული მასალა - განმარტებითი ბარათი, რომელშიც დეტალურად განმარტებული იქნებოდა, მაგალითად შემოსავლების კუთხით ყველა პარამეტრის ცვლილების გამომწვევი მიზეზები;
- ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადამუშავებულ პროექტს არ ახლავს სხდომებზე გამოთქმული შენიშვნებისა თუ წინადადებების გათვალისწინების ან არ გათვალისწინების ნუსხა;
- ბიუჯეტის პროექტს, გარდა გამონაკლისის შემთხვევისა, არ ახლდა მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია, რომელიც თვალნათლივ გამოავლენდა,

ბიუჯეტის პროექტით შემოთავაზებული პარამეტრები თანხვედრაში არის თუ არა არსებულ რეალობასთან.

- სამწუხაროდ, მიუხედავად განცხადებული პრიორიტეტებისა, მუნიციპალიტეტებში ფიქსირდება თანხების შემცირება ჯანმრთელობის დაცვაზე და სოციალურ დაცვაზე, რომლის აქტიური მომხმარებელი ადგილობრივი მოსახლეობაა, მათ შორის დევნილები;
- მუნიციპალიტეტებიდან ბიუჯეტის ელექტრონული ვერსიების მოწოდებას დაგვიანებით ხასიათი ჰქონდა;
- ბიუჯეტის პროგრამების და ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორები ზოგადი ხასიათისაა, ნაცვლად კონკრეტულად გაზომვადობისა. აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური, კვარტალური მონიტორინგი, განსაკუთრებით სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით.



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA

N 01/718
12/03/2015

718-01-2-201503121823



ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში შემოსული
თქვენი წერილის პასუხად, გაცნობთ, რომ საქართველოს რეგიონული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირებზე - დევნილებზე დამხრების გაცემა და შედგენის
დაწყება არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ვალდებულებას. აღნიშნულ სიცოცხლე
პროგრამებს ისინი ახორციელებენ. ნებისმიერი უფლებამოსილების ფარგლებში, ირგანული
კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების
შესაბამისად.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დისკრიმინაციულ მოპოვებას ადგილი აქვს, თუ ქმედება იმ
ხელისუფლების ირგანოს მიერ ხორციელდება, რომლის უფლებამოსილებაც ქვეყნის მიერ
ტერიტორიაზე გრძელდება. მუნიციპალიტეტის, საქართველოს კონსტიტუციითა და ირგანული
კანონით განმსკრთილი საზოგადოებრივი და მოქალაქის ფარგლებში, უფლება აქვთ თავად
განსაზღვრონ საკუთარი ბიუჯეტის პრიორიტეტები და მათი დაფინანსების მოცულობის
საკითხი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის სფერო და ამ
მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება წარმოადგენს საქართველოს მთავრობისა
და საქართველოს რეგიონული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კომპეტენციას.

პატივისცემით,

დავით შველიძე

12

მინისტრი

საქართველო, 0160, თბილისი, აღ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქს: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

INSTITUTE FOR THE STUDY
OF NATIONALISM AND CONFLICT

ISNC

ნაციონალიზმისა და კონფლიქტების
ინსტიტუტი (ინსტიტუტი)

20, Galaktion Tabidze str., Tbilisi, Georgia
ტელ: +995 32 510 700
E-mail: info@isnc.ge, info@isnc.com, info@isnc.org

საქართველო, თბილისი, გალაკტიონ ტაბიძის ქ. №20
ტელ: +995 32 510 700
ელ. ფოსტა: info@isnc.ge, info@isnc.com, info@isnc.org

N 01/718
12/03/2015

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
პატივით დავით შველიძე

პატივით დავით,

მოგესალმებით, რომ ქვეყნის „სინერგია“ ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა
დევნილთა პრობლემებზე მიმუშევრ არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანება, რომლის
უზრუნველყოფის საქართველოს რეგიონული დევნილთა არასამთავრობო
ორგანიზაციები წარმოადგენენ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პატივით დავით შველიძე
დავით შველიძის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „სინერგია-
დევნილთა გასაღები“ თანამშრომლობის გზით“. პროექტის ფარგლებში
განხორციელებს ქ. გორის, გორის მუნიციპალიტეტის, ქ. ქუთაისის, ქ. ფოთის, ქ. ზუგდიდისა და
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის დაფინანსებისა და
განხორციელების პროცესის მონიტორინგს. მონიტორინგის მთავარი მიზანია დაცულ იქნეს დევნილთა
ინტერესები და დამცვიდნენ თანამართლის მიღებები მათ მიმართ.

ბიუჯეტის განხორციელებისა და ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა
შეზღუდვების გამოყენების მიზნით, რომ კვლევა ქვეყნისა და მუნიციპალიტეტში დევნილები
სრულყოფილად ვერ სარგებლობენ ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტებით,
განსაკუთრებით იმ პროგრამებითა და ქვეპროგრამებით, რომლებიც უკავშირდება განვითარების
დაცვას, სოციალურ დაცვას, საბინაო-კომუნალურ მეურნეობას და ა.შ. გარდა დევნილთა ცალკე
გათვალისწინებული პროგრამების, რაც უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს დევნილებს
(საქართველოს შემთხვევაში მოგაწვდით ფაქტობრივ მასალას).

ზემთაძინებულთაგან გამოდინარე, მოგაწვდით თხოვნით თქვენ, როგორც რეგიონული
განვითარების პოლიტიკის გამგებელს, ასევე მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობებისა
და ბიუჯეტის გამანაღვებელს, ბიუჯეტშიაშენი უზრუნველყოფის განვითარებისა და საბიუჯეტო
რეგულაციების დამუშავების საკითხებზე წინადადებების მომზადებულ მაგონებლებს
როგორც, უზრუნველყოფით დევნილთა ადგილობრივი მისახლეობის მიმართ თანამართლის მიღების
დაწყვიდება თვითმმართველ ერთეულებში, რათა აღმოფხვრულ იქნეს დისკრიმინაციული
მიდგომები დევნილის სტატუსის მქონე პირების მიმართ.

წინასწარ მოგასტუმრებთ მაღლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ა.ბ.ბ. „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი“
გამგზავნის თაგზადმარე,

ნინო კალანდარიშვილი

